

INFORMATION WARFARE-ABKHAZIA AND GEORGIA

Natalia Patarkatsasvhili, Elene Zakashvili, Ani Dekanosidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ანოტაცია-ოცდამეერთე საუკუნეში საინფორმაციო ომი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია, ამიტომ ვთვლით, რომ ჩვენი თემა „ინფორმაციული ომი-აფხაზეთი და საქართველო“ აღწერს რეალობას ისტორიული ფაქტების საფუძველზე და საკმაოდ მწვავე პრობლემასაც სვამს- ურთიერთობას ქართველებსა და აფხაზებს შორის.

Annotation-Information warfare in the 21st century is very important and actual subject, so we think our theme „ Information Warfare-Abkhazia and Georgia” describes reality based on historical facts and also points out a big problem- relationship between Abkhazians and Georgians.

საკვანძო სიტყვები- ინფორმაციული ომი, საბჭოთა კავშირი, საქართველო, აფხაზეთი, კირილიცა, ქართული გრაფიკა, ჩატეხილი ხიდი

თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე დიდი სიმდიდრე, სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსი, გავრცელებული "იარაღი" და გააზრებული პიარსვლა ინფორმაციაა - ძალა, რომელიც მოსახლეობის რწმენაზე, ღირებულებებსა და შეხედულებებზე ახდენს ზემოქმედებას, ცვლის და აფორმირებს მას ისე, როგორც ეს საინფორმაციო ომში ჩართულ სახელმწიფოებს აწყობთ. საინფორმაციო ომის მასშტაბები ინდივიდებს შორის დაწყებული კონფლიქტიდან გიგანტ სახელმწიფოებს შორის გამწვავებულ დაპირისპირებამდე იცვლება, შედეგი კი ყოველთვის ძლიერის, ანუ იმის მხარესაა, ვინც საინფორმაციო სტრატეგია მოქნილად აწარმოა. ტერმინი „ინფორმაციული ომი“ დღეს ძალზედ აქტუალურია, ამას არაერთი სტატია, ნაშრომი თუ მოხსენება მოწმობს რომელიც ბოლო ოცი წლის განმავლობაშია შექმნილი. გლობალიზაციის ეპოქაში ძნელია აკონტროლო ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების საშუალებები, ამიტომ ნებისმიერ ომს, წარმოებულს იარაღითა და სამხედრო ტექნოლოგიებით, წლების განმავლობაში სასურველი და მიზანმიმართული ინფორმაციით მომზადებული ნიადაგი უდევს საფუძვლად.

„ დღეს ინფორმაციული ომის ჟამი დგას, კალმით ანუ სიტყვით ბრძოლის დრო.“¹

პოსტმოდერნულ მსოფლიოში საინფორმაციო ომის მსვლეობა იმდენად ხილულია, რამდენადაც კალაპოტში მდინარის დინება, თუმცა წარსულიდან შემორჩენილი,

¹ ილია II - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი_ საშობაო ეპისტოლე 2013
http://sibrdzne.ge/index.php?swavleba_id=23431&amonaridi=23441

გაცვეთილი და გაყვითლებული ფურცლები კარგად შეფუთულ, უხილავ და დამლუპველ საინფორმაციო ომზე მოგვითხრობს, ეპოქაზე რომელსაც სათავეში „დიდი ბელადი“, სტალინი ედგა- კაცი, რომელმაც კარგად იცოდა ინფორმაციის ძალისა და მნიშვნელობის ფასი. ამის ნათელი დასტურია აფხაზური ენის ქართულ შრიფტზე გადაყვანის რეალური ისტორია, რეალური რადგან მის შესახებ მხოლოდ ფაქტია ცნობილი, ხოლო რა ედო საფუძვლად მხოლოდ მაშინაა გასაგები როდესაც საქართველოს შსს არქივში დაცულ სრულიად საიდუმლო მასალებს ვეცნობით, რომლის მიხედვითაც ირკვევა უდამწერლობო ერს რა მიზნით და რა ინსტრუმენტებით შეუქმნეს დამწერლობა. დამწერლობა რომელიც ერის იდენტობის მაგისტრალური ხაზია.

„ 1937 წლის 4-5 დეკემბერი, ქ. სოხუმი, ნ. მარის სახელობის აფხაზური კულტურის ინსტიტუტი.

თათბირს ესწრება 4 რუსი, 23 აფხაზი და 6 ქართველი.

განხივლის თემა-აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანა.

გადაწყვეტილება-დამწერლობის სამი ვარიანტის შეჯერებით, ქართველებს დაევაღათ შეექმნათ გრაფიკა აფხაზი მოსახლეობისათვის.”

ეს იმ ფაქტის მოკლე აღწერაა, რომელიც კარგად დაგეგმილი პროპაგანდის ნაწილი იყო, კერძოდ 1936-41 წლებში საბჭოთა კავშირი შეუდგა ტრიადიდან (მამული, ენა სარწმუნოება) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის- ენის სათავესოდ გამოყენებას, ერების საბოლოოდ რუსიფიკაციისათვის მათი ენების რუსულ, ე.წ კირილიცაზე გადაყვანას. ამ დროს აზერბაიჯანელების, ყაზახების, ტაჯიკებისა და სხვა მრავალის ენათა გრაფიკასთან ერთად, აფხაზური დამწერლობის გრაფიკის ცვლილებაც მოხდა, მაგრამ არა კირილიცაზე, არამედ ქართულზე. საბჭოთა კავშირის მიერ გატარებულ სეპარატისტულ და ეროვნული იდენტობის წამშლელ სტრატეგიას მიაწერდნენ და უარეს შემთხვევაში ახლაც მიაწერენ საქართველოს აფხაზთა მიმართ, კერძოდ მათი დამწერლობის ცვლილებას 1938 წელს. ამ არასწორი და ხშირად დამლუპველი ინფორმაციის გავრცელებას და შესაბამისად, ეროვნული მნიშვნელობის საინფორმაციო ომის წაგებას კი სწორედ, რეალური ისტორიების არ ცოდნა უდევს საფუძვლად. გავრცელებულ ნარატივებს იმის შესახებ, რომ ქართველები ძალისმიერი და მიზანმიმართული ხრიკებით ცდილობდნენ აფხაზთა „დამონებას“ და ამისათვის მათ დამწერლობას იყენებდნენ სრულიად აბათილებს საქართველოს შსს სპეც. არქივში დაცული მასალები და ამაზევე საუბრობს აფხაზოლოგი თეიმურაზ გვანცელაძე წერილში „აფხაზური სამწიგნობრო ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიიდან.“ წითელმა სახლემწიფომ, რომელმაც ყველანაირი მატერიალური, არამატერიალური, საკრალური, პროფანული თუ აბსტრაქტული

იარაღი საკუთარ სამსახურში ჩააყენა ნუთუ არ იცოდა, რომ აფხაზური დამწერლობა ქართული გრაფიკის იყო? იმპერიამ იცის რას ფიქრობ ძილის წინ და გამორიცხულია არ სცოდნოდა რას აკეთებდა 16 წელი საქართველო აფხაზეთის „წინააღმდეგ“. ეს იმ საინფორმაციო ომის დასაწყისი იყო, რომლის ტრაგიკულ შედეგებსაც დღემდე ვიმკით, როგორც აფხზი ასევე ქართელი ერი. საბჭოთა კავშირმა შთააგონა აფხაზ ხალხს ქართველთა მტრული დამოკიდებულების, მათზე დომინირების, ძალადობისა და დამორჩილების არასწორი ტენდენცია, და ამით აფხაზეთისათვის ყველაზე ახლოს მდგომი, მონათესავე და მისთვის საუკეთესო ქართული გრაფიკის რუსული კირილიცათი შეცვლას შეუწყო ხელი. ესეც ინფორმაციული ომის მოგებისთვის საჭირო, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო სტალინისთვის, აფხაზ ხალხს მიაწოდეს ბელადის სასურველი ინფორმაცია-ქართველთა იმპრეიული მიზნების შესახებ.

1954 წელს სსრკ-მ საკუთარ მიზანს მიაღწია და აფხაზური კვლავ რუსულ გრაფიკაზე გადაიყვანა. ამან ხელი შეუწყო აფხაზებსა და ქართველებს შორის შუღლის ჩამოგდებას, დამწერლობის იმდენად გართულებას (64 ასო ოთხი შრიფტი), რომ თავად აფხაზებიც ივიწყებენ მას და რუსულ ენას იყენებენ. ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც კრემლმა მიაღწია არის შემდეგი- აფხაზეთის აბრეზზე, სხვადასხვა დაწესებულებებზე მთლიანად გაქრა ქართული ასოები. დღეს თითქმის ყველაფერი რუსულადაა, აფხაზურიც კი მცირეა ქვეყნის ტერიტორიაზე. რეალურად ხდება აფხაზური ტოპონიმების შეცვლა რუსულის ხარჯზე.

სსრკ-ს დაშლის და თითქმის ერთსაუკუნოვანი განვლილი გზის მიუხედავად ვერ აღდგა კავშირი საქართველოსა და აფხაზებს შორის. რუსეთმა ხელოვნურად შექმნა ჩატეხილი ხიდის სინდრომი, რომელიც კიდევ უფრო მწვავედება და თითქოსდა არ არსებობს არავითარი საშუალება ხიდის აღსადგენად. აგრეთვე გააღრმავეს დაშორების ტენდენცია, რომელიც დღესაც ყელში უჭერს ქართველ ხალხს და ახრჩობს, თუმცა აფხაზთა გონებამდე თუ გულგამდე სათანადოდ ჯერ კიდევ ვერ აღწევს, რადგან დღესდღეისობითაც რუსული პროპაგანდა სწორედ დროში გაწერილი საინფორმაციო ომის ნაწილია.

ვფიქრობთ, ერთადერთი თუ არა ერთერთი გზა არის დიალოგი და ორივე მხრიდან თითო აგურის დადება, რომ ხიდმა კვლავ დაიწყოს გამთლიანება. ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოში ორი სახელმწიფო ენაა: ქართული და აფხაზური(აფხაზეთის ტერიტორიაზე). აქედანაც მტკიცდება, რომ ქართველებს არ სურთ აფხაზური ენის/ იდენტობის „გაქართულება“, არამედ კავშირის აღდგენა და ურთიერთობების განახლება.

გამოსავალი ცხადია, რომ საინფორმაციო ომში ჩაბმა და მისი უკუგებაა სწორედ სპეც არქივში დაცული მასალების ტირაჟირებით, სადაც კარგად ჩანს რომ ქართულ ალფავიტზე აფხაზურის გადაყვანა არა ქართველთა, არამედ კრემლის ინიციატივა

იყო გათვლილი სწორედ დაპირისპირებაზე ქართველებსა და აფხაზ ძმებს შორის, რომლის განმუმხტველად დიდი რუსეთი მოგვევლინებოდა. ეს იყო შედეგი საინფორმაციო ომისა და ამ დოკუმენტების პოლიტიკური კონტექსტით წარდგინებისა.

ბიბლიოგრაფია

1. თამარ ბელქანია -,სტალინური კულტურა!’’-გამომცემლობა აზრი. თბილისი 2016
2. თეიმურაზ გვანცელაძე ,, აფხაზური სამწიგნობრო ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიიდან’’ <http://www.amsi.ge/istoria/div/gvanc.html>